1/2706-2 27 ივნისი 2017

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბ-ნ გიორგი კვირიკაშვილს

განცხადება

გაცნობებთ, რომ ჩვენი გუნდი 3 თვის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა აზბესტის აკრძალვის საკითხთან დაკავშირებით, საიდანაც გამოიკვეთა, რომ აზბესტის მოხმარება, როგორც ჯანმრთელობისთვის ისე გარემოსთვის მავნებელია. თბილისში ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო აზბესტ შემცველი სამუხრუჭე ხუნდებია, რომლითაც სარგებლობს ავტომობილების 80%. მათი ცვეთის შედეგად ჰაერში გაბნეული მტვერი კი უარყოფითად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ამავდროულად აზბესტი გამოყენება სამშენებლო მასალებში, წყლის მილებში და სახლის სახურავებში. აზბესტი არის კარცენოგენი, რომელიც იწვევს ფილტვისა და სასუნთქი გზების სიმსივნეს. საქსტატის მონაცემებით თბილისში ყოველწლიურად 400-მდე ადამიანი იღუპება სასუნთქი გზების სიმსივნით, რისი ძირითადი მიზეზი ზემოთ აღნიშნული პრობლემაა.

გვქონდა შეხვედრები დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელ ქ-ნ ნანა გაბრიაძესთან, ასევე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე ქ-ნ ეკატერინე გრიგალავასთან. მათ გაიზიარეს ჩვენი შეხედულება აზბესტის მავნებლობასთან დაკავშირებით და აღგვითქვეს სრული მხარდაჭერა ამ მძიმე პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით.

საქართველო არის როტერდამის კონვენციის წევრი ქვეყანა, რომელიც კრძალავს წევრი ქვეყნების ტერიროტიაზე გარკვეული ტიპის აზბესტის იმპორტს. მსოფლიოს 53 ქვეყანაში ყველა სახის აზბესტის გამოყენებაა აკრძალული, მიუხედავდ იმისა რომ ეს ქვეყნებიც როტერდამის კონვენციის წევრები არიან.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში აზბესტი არ იწარმოება ხდება მისი ექსპორტი. ზემოთ აღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ აუცილებელია ამ საკითხის საჯაროდ განხილვა და აღსრულების ღონისძიებების წარმოება. ვინაიდან, არც საზოგადოებას და არც იმპორტიორებს არ აქვთ შესაბამისი ინფორმაცია აზბესტის მავნებლობასთან დაკავშირებით. აზბესტის იმპორტის აკრძალვა არ გამოიწვევს აღნიშნულ პროდუქციაზე დეფიციტს, რადგან შესაძლებელია მისი ჩანაცვლება სხვა ეკოლოგიურად უსაფრთხო პოდუქციით, მაგალითად აზბესტის შემცველ ხუნდსა და სხვა ეკოლოგიური ხუნდის ფასს შორის სხვაობა არის 5-10 ლარი.

ქ.თბილისი 0179 მერაბ კოსტავას I შეს.კორ 7 ბ.1
ტელ: +995 577007700
E-Mail: newgeorgia2016@gmail.com
Web: www.ng.ge

საბოლოო ჯამში, სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ მუშაობა პრობლემის აღმოსაფხვრელად, რისთვისაც მზად ვართ უახლოეს მთავრობის სხდომაზე წარმოგიდგინოთ დეტალური კვლევა პრეზენტაციის სახით და გაგაცნოთ აზბესტის ყველა უარყოფითი მხარე. აქედან გამომდინარე მოვითხოვთ:

1. უახლოეს მთავრობის სხდომაზე ჩანიშნოთ აღნიშნული საკითხის განხილვა;
2. უახლოეს მთავრობის სხდომაზე დასწრებას და პრეზენტაციის წარდგენას;
3. 2018 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ყველა სახის აზბესტის იმპორტის აკრძალვას.

პატივისცემით,

„პოლიტიკური პლატფორმა - ახალი საქართველო“-ს

თავმჯდომარე

გიორგი ვაშაძე